საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/118

ქ. ბათუმი 25 ოქტომბერი, 2022 წ.

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2022 წლის 24 ოქტომბრის №1346069 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა დაგანვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების N1 დანართში (წესი) **შეიცვალოს მე-9 მუხლის** (,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი“) **შინაარსი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ბსუ-ში დასაქმებული. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი (ან კოორდინატორი), მათ შორის, შესაბამისიკვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

2. პროგრამის ხელმძღვანელი:

ა) აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის მოდიფიცირებას;

ბ) ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და მათი მოწვევის/კონკურსის პროცედურების წარმართვას, ცენტრის დირექტორთან და ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით;

გ) ხელმძღვანელობს პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესის საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად წარმართავს;

დ) პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშს წარუდგენს ცენტრის დირექტორსა და ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ და ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ;

ე) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასების პროცესისწარმართვას;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობას;

ზ) ვალდებულია ითანამშრომლოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით;

თ) ვალდებულია მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პროფესიულ სტუდენტებთან, მიაწოდოს მათ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ;

ი) ვალდებულია ჩაერთოს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში და მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.“

2. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი და განთავსდეს ბსუ-ს შესაბამის ველებში.

3. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის გაცნობა პროფესიული სტუდენტებისა და შესაბამისი პერსონალისათვის.

4. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**